ფარული საზოგადოების დაარსების

მიზეზები

ზ. ჭიჭინაძისა

თ ბ ი ლ ი ს ი
სტამბა „განათლება“ დ. ლ. პიტნავასი, გრაფის ქ. № 10.
1919 წ.

ფარული საზოგადოება და მისი დაარსების მიზეზები.

„ფარულ საზოგადოება“-ს აქვს მეტად საინტერესო ისტორია. საყურადღებოა იგი ჩვენთვის ბევრის მხრით. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ის გარემოება და პირობებიც თუ ეს დიადი და მასთან მეტად ძნელი საქმე რამ წარმოშობა ქართველებში, რა გახდა ამის მიზეზი, რომ ქართველებმა ასეთი საქმის განზრახვა და შესრულება გაბედეს. როცა ეს გვეცოდინება, მაშინ „ფარული საზოგადოების“ მოღვაწეთა პირებს უფრო უკეთ დავაფასებთ, ამიტომ მოგვყავს ამის მიზეზები აქ სულ მოკლედ და მარტივად.

საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა 1783 წ. ამისთვის ორსავ სახელმწიფოსგან ტრაქტატიც დაიწერა. რუსებმა ქართველებს კარგი პირობა მისცეს, მაგრამ, პირობის მიცემის შემდეგ, რუსებმა პირობა მალე დაარღვიეს და ამით ქართველნი დარჩენ მოტყუებულნი. ასეთი მოტყუილება რუსებმა ქართველებს არც შემდეგ აკმარეს: ამათ ისურვეს ქართველი ერის და საქართველოს სრულიად დამარხვა, ქართველი ერის ხელში ჩაგდება. 1801 წ. ესეც მოახრხეს. ამ დროსაც რუსები ქართველებს ჰპირდებოდნენ ბევრ სიკეთეს, მაგრამ ახლაც ქართველნი მოტყუებულნი დარჩენ რუსთაგან.

ამ მოტყუილებისთვის რუსეთის მთავრობა ძლიერ კარგათ მოემზადა, ამისათვის მათ ქართველთაგან შინად გამცემნი და მოღალატენიც იშოვნეს, რომელნიც ასწავლიდენ რუსებს ყველა ოსტატობას, თუ ქართველნი საიდამ როგორ უფრო ადვილად მოტყუვდებოდენ. ასეთი იყო გარსევან ჭავჭავაძე. უამისობა

რუსთაგან არც შეიძლებოდა. რადგანაც, რავდენათაც ქართველთ შორის შეერთების მომხრე და მონატრული იყვნენ, იყვნენ მოწინააღმდეგენიც, რომელნიც რუსთა ერთობას დიდათ ეკრძალებოდენ. ასეთი იყო სოლომონ ლეონიძე. მოღალატეების

რიცხვიც დიდი იყო და უმეტესათ კი რუსთაგან შესყიდულნი ჩინებით, ფულით და შიშით. მასთან სოლომონ ლეონიძის მომხრეთა რიცხვიც არ იყო მცირე. მაინც ბოროტმა სძლია კეთილს, ბოროტმა გაიტანა თავისი ალო და საქართველო ჩაუარდა რუსეთს ხელში მონად ისეთ დროს, როცა დამონებულიც-კი უნდა განთავისუფლებულიყო.

ეს დრო და ხანა არის მე-19-საუკ. დამდეგი, როცა ევროპაში დამონებულებს ანთავისუფლებდენ. ამ მონებასაც ჰყვანდა ქართველთაგან წინად მგრძნობელნი და მყვედრებელნი, მაგრამ გამგონი აღარავინ იყო. ასეთ მგრძნობიერ პირთაგანად ითვლება იმ დროის თფილისის კათოლიკეთა პატრი ნიკოლა, ჯერედ რუსებს საქართველო ხელში ჩაგდებული არ ჰქონდათ, რომ ერთ დროს, საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. ამათ მეფე გიორგისთვის დახმარება უნდა მიეცათ „ნიახურის ომისთვის".

ამ რუსის ჯარის თბილისში შემოსვლის დროს საბურთალოზედ მეფე გიორგი მიეგება მთელი თავის მოწინავე კაცებით. ამათშივე იყო პატრი ნიკოლა. რუსის ჯარმა მეფე გიორგის დანახვის დროს ჯერეთ ბარაბანი დჰკრა და მერე მუსიკა დაუკრა. მეფე გამხიარულდა და ფრანგის პატრს მიმართა ასეთი სიტყვით:

– პატრო, იმედია, დღეის შემდეგ რუსის ჯარის დახმარებით ჩვენ მტრები ვეღარას გვიზამენ. პატრმა მოისმინა მეფის სიტყვა და მწუხარებით მიუგო:

– ბატონო მეფეო, ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხება.

– 4 –

ნუ იზამთ, თორემ მერე სანანური გაგიხდებათ, რუსნი შემოვლენ მამაშვილურად და მერე გადიქცევიან მამინაცვლად. თქვენს ხალხს დაადებენ დიდ ხარჯს, ხალხი ამის გადახდას ვერ შესძლებს და მერე ამ გადასახადისათვის მათი მამულები გაისყიდება ბარაბანის დაკვრით. ქართველი ერის ცხოვრება ისე მოეწყობა, რომ მათ მკვდრებსაც მუსიკით დაუწყებენ დამარხვას.

პატრის ასეთმა სიტყვამ მეფე გიორგი დიდათ შეაწუხა. მერე მეფემ პასუხი მისცა პატრს:

– პატრო, რა ვქნათ, რომ სხვა გზა არა გვაქვს. მეტი საშველი არ არის; ეს საქმე უნდა შესრულდეს, – საქართველო რუსეთს უნდა შეუერთო.

ამ საუბრის ორი წლის შემდეგ ეს საქმეც მოხდა. 1801 წ. საქართველო რუსეთს ჩაუვარდა ხელში მონად.

ამ ჩაბარებისათვის ლოცულობდენ სომხის ვაჭრები, მოქალაქენი და ბევრიც სხვანი. ყველას უხაროდა, ყველა კანონად სთვლიდა რუსთა შემოსვლას საქართველოში, მაგრამ ბოლოს საქმე სხვანაირად დატრიალდა. ორი წელიწადი მართლაც რუსები ქართველებს ცოტა კეთილად ეპყრობოდენ, ცხოვრებას არ უჭირებდენ, მაგრამ ეს მალე მოსპეს. შესრულდა პატრის სიტყვა, – რუსთა მამაშვილობა მამისნაცვლად გადაიქცა და რუსეთი ქართველი ერის შემაწუხებლად და მდევნელათ შეიქმნა.

რუსებმა რო ნახეს თვალით და გაიცნეს ქართველი ერის ოჯახის ძლიერება და ავ-კარგიანობა, მაშინვე დაიწყეს თავისებურად მოწესრიგება. ყველა ეს მოწესრიგება იყო ქართველი ერის დაქვეითება, დაჩაგვრა, ქართველი ოჯახის მოსპობა, თითქმის საქართველოს ერის განადგურება; მათი ხსენების გაქრობა, ქართველის გარუსება, ქართული ენის მოსპობა და მის საშუალებით საქართველოს რუსეთთან გაერთიანება. ამის შესრულებას შეუდგნენ იმ ხანიდამ, როცაკი მათ შესძლეს ეს

და მოახერხეს. რუსებმა თვისის ბოროტებით მალე გამოიწვიეს ქართველებში წინაღმდეგობის აღორძინება და რუსთაგან საქართველოს განთავისუფლების აზრი. აი ესეც ამათი ბოროტებანი, რაც შეიძლება მოკლეთ: რუსებმა საქართველოში შემოსვლის უმალვე დაამდაბლეს ქართველი ერი და დაუწყეს გმობა. ყოვლგან საქართველოში მოსპეს ქართული ენა და ამ ენით საქმეების გარჩევა და კამათი. მათ-კი პირობა ჰქონდათ, რომ ეს არ უნდა ექმნათ. მოსპეს ქართული სასწავლებელი და მის მაგირ დაარსეს რუსული სამხედრო სკოლები და კაზარმები.

ქართველ თავად-აზნაურობას და მათ ყმათა ერთობას შურიანის თვალით შეხდეს. ამიტომ თავად აზნაურთა და მათ ყმა გლეხთა შორის დაამკვიდრეს განხეთქილება, მტრობა და ერთმანეთის სიძულვილი. შეიშურეს თავადის შვილების დიდი გვარის და დიდი მამულ დედულის პატრონობა და ისურვეს ამათი გაღატაკება. გლეხებს აჰყარეს ის პატივის ცემა, რაც მათ აქვნდათ საქართველოს მეფეების დროს, ამიტომაც ამათ გარყვნეს მთელი თავად-აზნაურობა. ასწავლეს ყველა ნაირი სივერაგე. თავად-აზნაურნი თამაშობაში აგებდნენ მამულებს, ყმებს, ერთმა ცოლიცკი წააგო. თბილისში რუსებმა დახსნეს საკახპოები, კაბაკები, ტრახტირები, მიკიტნის დუქნები და სხვაც ასეთი საყომარბაზო სახლები. სიარულს მიეჩვია ქართველი ერი, ქეიფებს, ლხინებს და ამისათვის ყველაფერის, თვით უძრავ მამულების დაგირავებას და გასყიდვისაც მიჰყო ხელი. ასეთის ოსტატური მტრობით დაეცა ქართველი კაცის აყვავებული ოჯახი და გაწრიოკვდა, დაეცა თავად-აზნაურობა: არისტოკრატიული თავადის შვილობა, !შეძლებული სოფლის გლეხის ოჯახის შვილები და თვით ქართველი მოქალაქენიც. ყველა ამათ გაქრობას ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობა. რუსები სიხარულს იყვენ მიცემულინი. ამ სახით არ აღსრულდა რუსე-

თის პირობის სიკეთენი. რუსების მთავრობის ბოროტება მარტოთ ამითი არ გათავდა; აქ ბევრი კიდევ სხვა არის მოსათვლელი, ხოლო ყველას ვერ მოვსთვლით.

1801 წ. შემდეგ რაკი რუსებმა საქართველო ხელში ჩაიგდეს. მის შემდეგ ქართველი ბატონიშვილები სულ რუსეთში გადაასახლეს, მათ იქ მისცეს ცოტა დახმარება და სუყველა

მასთან გარყვნეს, გაალოთეს, გააბოზეს. ამერ-იმერეთის ბაგრატიონის რიცხვი 100 კომლზედ მეტი იყო, სულ მოსპეს უცოლშვილოთ. რუსებმა ეს მიტომ ქმნეს, რომ ამათი ეშინოდათ, მამრობითი სქესი არ გამრავლდეს და მერე საქართველოზე დავა არ აგვიტეხონ, ბევრი ამათგან ჩუმათ მოკლეს, ზოგი მოწამლეს, აგრეთვე უყვეს თბილისში მცხოვრებ ალექსანდრე ბატონიშვილს ირაკლის. ამის ერთი ვაჟიშვილი ძიძამ შესყიდვით ბალკონიდამ ჩააგდო და ბავშვი ამით მოკვდა 1880 წ.

რუსის მთავრობამ ქართველებს დაუხსნა ისეთი ფულის სასესხებელი კასები და მერე პრიკაზი, საიდამაც ქართველები ადვილათ ისესხებდნენ ფულებს და უვალო კაცნი ვალიანდებოდენ. ამისთანა მანქანებით დავალიანდა მთელი ქართველი ერი და მერე ასე დავალიანებით დაირღვა ქართველი კაცის აყვავებული ოჯახი, მამულები და ყოველივე სულ დაისყიდა ვალებში.

რუსის მთავარ-მართებული მიხ. ვარანცოვი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1846 წ. იყო მეტათ მოხერხებული მტერი ქართველი ერისა. ამან ქართველებს თავი შეაყვარა. 1851 წ. ამის თაოსნობით გ. ერისთავმა ქართული თეატრი დააარსა თბილისში. 1852 წ. ამისივე დახმარებით გამოიცა ჟურ. „ცისკარი", დააარსა სკოლები ყველა ამაებთან გახსნა მამულების დასაგირავებელი პრიკაზიც, სადაც ქართველ თავადაზნაურებმა იწყეს თავიანთ უზარ-მაზარ მამულების დაგირავება,

მერე ამ „პრიკაზის“ ვალში ეს მამულები სულ ხურმის ფასად იყიდებოდა. ვორონცოვმა ქართველებში ისე გაიკეთა სახელი, ვითომც იგი ქართველი ერის გულშემტკივარი იყო, ის კი არა, იგი იყო ჩუმი მტერი და ისეთი ბოროტი, რომლის მსგავსი ნაკლებად მოიძებნებოდა თვით აშკარად ბოროტად ცნობილთა რუსთა შორისაც.

ყველა ჩვენი მტრობა ქართველებმა კარგათ იგრძნეს. ეს გრძნობა მათ გულზე სიპი ქვასავით დააწვა. ყველაა მათგანი შევიდა მის ძიებაში, რომ რუსეთმა დაპირება ვერ შეასრულა, ქართველებს დახმარების მაგიერ დაცემა, დანგრევა და განადგურება უწყო.

გულდათუთქულნი, დავალიანებულნი და დაჩაგრულნი ქართველნი სწყევლიდნენ რუსების შემოსვლას. საქართველოს დაკავშირება რუსეთის იმპერიასთან მათ შერაცხეს ქართველი კაცის ოჯახის დამხობად.

ქართველნი ხშირად მოიგონებდნენ ხოლმე სოლომონ ლეონიძის ბრძნულს დარიგებას, და ნამეტურ პატრი ნიკოლას სიტყვებს: „ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხებაო.“

კიდევ უფრო მეტად იგონებდნენ იმ სიტყვებს, რომ თქვენი მამულები ვალში გაიყიდებაო. თბილისში როცა გაზეთები არ იბეჭდებოდა, როცა დავალიანებულთა მამულები უნდა გასყიდულიყო, თბილისის ქუჩებზე ორი ჯარის კაცი ჩამოივლიდა ბარაბანის დაკვრით. ეს იმასი ნიშანი იყო: ამა და ამ ალაგას

„ტორგია“ და მამულები ისყიდებაო. ხშირად აქ რუსების და სომხის ვალში ქართველთ მემამულეთ ყმებიც ისყიდებოდა. დღითი-დღე რაც დრო მიდიოდა, მით ქართველი კაცის ოჯახი და მთელი საქართველოც მეტად უწყალოდ ეცმოდა, ყველა-ფერი მცირდებოდა, ისპობოდა.

ეს უბედური, ეს ცეცხლწაკიდებული გარემოება ქართვე-

ლი კაცის ოჯახისა, ზოგიერთ ქართველთ 1820 წლებიდან უკვე კარგათ შეიგნეს, მიეცნენ დუმილს, მწუხარებას და აქეთ იქით გოდებით ლაპარაკს: რაც დრო მიდის საქართველოში, ქართველი კაცის ოჯახი უფრო და უფრო ეცემა, ბოლოს იქამდე მივალთ, რომ რუსების ხელში სულაც მოვისპობითო.

ასეთ უკმაყოფილო პირთა რიცხვი დღითი დღე მატუ-ლობდა. ყველა ეს ხდებოდა მისის წყალობით, რომ ქართვე-ლთა შვილების აღზრდის საქმე რუსების სალდათების კალაპოტში მოთავსდა, ქართველნი განათლებას ვეღარ იღებდენ, განათლე-ბის ანუ სწავლის მაგიერ იგინი რუსულ კაზარმებში სწავლობ-დენ კარტის თამაშს, ტრახტინებში ბილიარდის თამაშს, ლო-თობას და სხ. ამისთვის აღებულ ვალებით იღუპებოდენ.

ამ გარემოებამ ქართველებს თვალები გამოუფშვნიტა, ქართველები სერიოზულად მიეცნენ ამის მოსაზრება-გარკვევას. და 1824 წ. შემდეგ მიეცნენ ფიქრს, თუ ამ მდგომარეობიდან როგორ ეხსნათ თავი. ასეთი პირები აღმოჩნდნენ როგორც თავად-აზნაურებში, ისევე მოქალაქეებში, სამღვდელო პირებში, გლეხებში და ქართველ ბერებშიაც, რასაც შემდეგ მოგითხრობთ.

ქართველებში თითოულათ ყველა გბრნობდა საქართველოს დაქცევას 1802 წლიდამ, ხოლო მის გამოიქმას ვერავინ ახერ-ხებდა, ხმის ამოღებას. ყველა ქართველმა-კი შეიგნო, რომ ქართველნი ჯერ ეკატერინე იმპერატრიცამ მოატყუა, როცა ამან 1783 წ. ერეკლე მეფეს ტრაკტატი დაუწერა და ეს პი-რობა-კი მან სულ არ შეასრულა. ასევე მოხდა შემდეგაც: ქარ-თველნი მოტყუებულნი იქმნენ როგორც პავლე იმპერატორი-საგან, ისევე ალექსანდრე იმპერატორისაგანაც 1081 წ.

რაც ხანი გადიოდა, მით ქართველებში რუსეთის მთავრო-ბის ბოროტებას საპასუხო შემეცნება უფრო და უფრო ფართო-ვდებოდა. ამ გარემოებამ და სამართლიერმა პირობებმა 1824

წლამდის უკვე იპოვნეს თავისი დიდი პატივის მცემლები, ერთ-გულად ყურადღების მიეპყრობ და თავდადებული მამულის შვი-ლნი, რომელთაც რუსეთის მთავრობის სივერაგე აღარ დასთმეს და გადასწყვიტეს ან „ხო“ და ან არაო: თუ ქართველნი ვართ, ვიყოთ ისეთ ცხოვრებით, როგორც 1801 წლამდის ვიყავით, თუ არა და ასე ყოფნა ჩვენ არ გვინდაო.

ამის გამოსახვა პირველად პეტერბურგში მოხდა ბატონი-შვილთა შორის, ბერის ივ. ხელაშვილის მეთაურობით 1820 წ.

ეს გამოძახილი 1824 წლადე დარჩა საიდუმლოთ, ხოლო უკანასკნელ ამ გამოძახილის ერთგული მონა გახდა ფილ. კიკინაძე, ბერი, რომელიც დიდი მოტრფიალე იყო ივანე ხელაშვილისა და მასთანავე გაჩნდენ სხვანიც და ყველაზედ უმთავრესათ-კი სოლომონ დოდაშვილი, ნათესავი ივანე ხელაშვილისა, პირველი იმ ქართველთაგანი, რომელიც საქართველოდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში, უნივერსიტეტში, პირველად წავიდა მოწაფეთ. სოლომონ დოდაშვილს უნივერსიტეტში შესვლისთვის დიდათ დაეხმარა ივანე ხელაშვილი.

სოლომონ დოდაშვილი რამდენსამე ხანს ამ ბერთანაც სცხოვრებდა. უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა 1827 წ. ივ. ხელაშვილის რჩევით მან რუსის ქალი შეირთო და საქართველოში დაბრუნდა ცოლით 1827 წ. უნდა ითქვას და ამას „კავკასიის აქტებიც“ ამტკიცებს, რომ 1832 წ. „საქართველოს განთავისუფლების“ პარტიის მეთაურთაგანი, თითქმის პირველი პირი სოლომონ დოდაშვილი ყოფილა, თითქმის ამას დაუარსებია ეს პარტია, ამას შეუქნია მებრძოლო გმირები და ყოველივე თურმე სულ ამ სოლომონ დოდაშვილის ნამოქმედარს შეადგენს. ეხლა ჩვენ შეუდგეთ ამ პირის ცხოვრების სადათ, მოკლეთ აღწერას და ამასთანავე მის სხვა ამხანაგებისა და

პარტიის წევრთაც, რომელთაც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს.

ივ. ხელაშვილი დაიბადა 1775 წ. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თავიანთ სოფლის მღვდელთან, მერე თელავის სემენარიაში. 1795 წ. ეს სემენარია რომ დაიკეტა, ი. ხელაშვილი თბილისს ჩამოვიდა, სადაც იმ დროს ცხოვრობდა თელავის სემენარიის რექტორად ყოფილი დავით მესხიევი.

ივ. ხელაშვილი დავით რექტორთან იწრთვნებოდა, ამ რექტორის დახმარებით გაეცნო იმ დროის ყველა ბატონიშვილებს, მეფე ერეკლესაც კი, ანტონ კათალიკოსს და სხვას. იგი ყველას წინაშე იქმნა ცნობილი, როგორც ნიჭიერი ყმაწვილი კაცი. ამიტომ ამას ბატონიშვილებიც ეხმარებოდენ ნივთიერად.

1801 წ. დამდგეს საქართველო რუსეთს შეუერთდა. 1802 წ. ქართველთ ბატონიშვილებს რუსეთში უწყეს გადასახლება. ეს საქმე ივ. ხელაშვილს არ მოსწონდა. ბატონიშვილების გადასახლების შემდეგ იგი დაუახლოვდა ანტონ კათალიკოსს 1807 წ. ანტონ კათალიკოსმა მას ჩოხა უკურთხა, ბერად შემოსა. მციერ ხანს შემდეგ ივ. ხელაშვილი თვის მფარველ ბატონიშვილებთან მოსკოვს წავიდა. ბევრის წვალების და ფეხით მგზავრობის შემდეგ მან 1808 წ. მიაღწია თავის მფარველ ბატონამდის მოსკოვს. მალე მოახერხა ისიც, რომ იგი მოსკოვის აკადემიაში შევიდა მოწაფეთ – 1809 წ. ამ დროს მან რუსული კარგათ იცოდა, თელავის სემენარიაში რუსულ ენას კარგად ასწავლიდენ თურმე.

აკადემიაში სწავლა დაამთავრა 1812 წ. აქ მის ცხოვრებას ხელი შეუშალა ნაპოლეონის ომებმა, ამიტომ იგი თვის

მფარველ ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგს გადასახლდა. დაიწყო ქართული ძველი და ახალი წიგნების კითხვა, საქართველოს ისტორიის შესწავლა და სხვა. სხვათა შორის აქ ამ

დროს მან დასწერა წიგნები „კალმასობა“, რომელიც მერე ივ. ბატონიშვილმა მიითვისა, და „რონინი“.

ივანე ხელაშვილს ყველაზე უფრო აინტერესებდა, თუ საქართველოს სამეფოს როგორ მოეღო ბოლო; ეს ქვეყანა და ხალხი რუსებმა როგორ ჩაიგდეს ხელში. ამისთვის იგი დღე და ღამ კითხულობდა სხვა და სხვა წიგნებს, სამეფო ბარათებს და სხვებს, ყველაზე მეტიკი მისთვის ის გარემო იყო საინტერესო, რომ საქართველოს შესახებ ნამეტურ შეერთების გამო ზეპირის ამბებით მოუთხრობდნენ მას ბატონიშვილები, რაც ერთობ დიდს გავლენას სტოვებდა მასზე.

ბატონიშვილები წყევლით იგონებდენ შეერთების ხანას და ამ შეერთების მომხერხებელი გარ. ჭავჭავაძესაც სასტიკათ კიცხავდენ; ესენი თავიანთ ცხოვრებას და საქართველოდგან გადასახლებას თითქმის ცრემლით მოიგონებდენ. ამ გარემობით ი. ხელაშვილი დიდი უმადური გახდა რუსეთის მთავრობის: საქრისტიანო იმპერიამ რათ გააუქმა საქართველოს სამეფოვო!

ივ. ხელაშვილი თითქმის მუდამ დღე დაიარებოდა ბატონიშვილებთან და საუბარს მართავდა საქართველოს შესახებ, ხან თითონაც მართავდა კრებებს თავის სახლში და აქ ჰქონდა სჯა-ბაასი მის შესახებ, თუ საქართველოს სამეფო 1800 წ. ბოლოს რა მოტყუებით ჩაუვარდა რუსეთის იმპერიას ხელში; მისი საგონებელი გახდა მარტო საქართველო და ამიტომაც ივ. ხელაშვილი მიეცა ფიქრებს, თუ საქართველოსთვის როგორ ეშველნა და ქართველ ბატონიშვილებს რუსეთის ტყვეობისგან თავი როგორ ეხსნათ.

ივ. ხელაშვილმა თავისი აზრი სხვა ბატონიშვილებსაც უამბო. ყველამ სიამოვნებით მოისმინა მისი განზრახვა და მოილაპარაკეს იმაზე, თუ საქართველოს როგორ ეხსნა თავი რუ-

სეთის მონობისგან. ამ საქმის განხორციელება მოითხოვდა დიდს თავ-დარიგს, დიდს სამზადის და საქმის მოწყობას, ამიტომაც ი. ხელაშვილმა თავის ამხანაგთ შორის განიძრახა „ფარული საზოგადოების“ დაარსება, ამის თვის მან შესაფერი წესდებაც დასწერა და 18 მაისს 1822 წ. ბატონიშვილებსაც გააცნო ეს წესდება. ეს ის წესდებაა, რომელზედაც შემდეგ აღორძინდა „ფარული საზოგადოება“ და რომელიც განცემულ იქმნა 1832 წ. ეს ფარულო საზოგადოება თფილისში დაუარსებია სოლ. დოდაშვილს 1829 წ.

II

საქართველოს სამეფოს მოშლის და დაპყრობის სურვილი რუსეთში პირველათ პეტრე დიდს აღეძრა, ამიტომაც მან საშინელის ბოროტებით მოატყუილა ვახტანგ VII. ამ სვავის წყალობით ქართველობას მოაკლდა 5000 კაცი რუსეთში გადასახლებით, 10 ათასი კაცი მტერთან ბრძოლაში. ამის გარდა რუსეთში გადასახლებულ ქართველებმა თან წაიღეს 60 ურემი ძველი ნივთები: ოქრო, ვერცხლი, ქართული ძველი წიგნები და სხვაც ბევრი ასეთი.

ეს ბოროტება მაინც არ აკმარეს ქართველებს და პეტრე დიდის შემდეგ ელისაბედ იმპერატრიცამ მოატყუილა თეიმურაზ II და I761 წ. ეს მეფე რუსეთში მიიწვია, რამაც საქართველოს სასტიკათ აუშალა ოსმალ სპარსელები.

საქართველოს სამეფოს მოშლის საქმეს ყველაზედ კარგათ კბილები ჩასჭიდა ეკატერინე მეორემ. ეს ჯერ ერეკლე მეფეს დაუმეგობრდა და მის მერე მიეცა მის ფიქრებს, თუ საქართველო როგორ ჩაეგდო ხელში. მას საქართველოს შინათ გამცემ მტრებმა ამცნეს, რომ ვიდრე თქვენ მეფე ერეკლეს ქართულს მხედრობას არ გაუწყვეტთ და სამხედრო ძალას არ მოუსპობთ, მანამ საქართველოს ხელში ვერ ჩაიგდებთო.

ამიტომაც მან თავს იდვა ბოროტება და დაუწყო მეფე ერეკლეს მოტყუილებით დაღუპვა.

ამიტომ ეკატერინემ მეფე ერეკლეს კარზედ მოსატყუებლათ გამოგზავნა თავის გენერალი ტოტლებენი, რომელმაც მეფე ერეკლე მოატყუილა, ოსმალებზე აშალა და ასპინძასთან ომიც მოხდა, რასაც ქართველნი ,ასპინძის ომს უწოდებენ". ამ ომში ქართველთ დიდი ხალხის რიცხვი გაუწყდათ. მაგრამ მაინც ეკატერინემ წადილი ვერ შეისრულა, მეფე ერეკლეს საქართველო ვერ დასცინცლა.

ამის შემდეგ მანვე მეფე ერეკლეს ბოდიშის სათქმელათ და მასზედ, რომ თქვენის წყენის და მოტყუილებისათვის მე ტოტლებენი გავკიცხე და დამსაჯეო, გერმანელი აკადემიკი ანტონ ღულდენშტეტი გამოუგზავნა. მცირე ხანს შემდეგ ეკატერინემ კვალათ დაიწყო ბოროტება მოქმედებათ.

მეფე ერეკლეს მალე გამოუგზავნა ახლა თავის ერთი სხვა გენერალი, გვარათ ლვოვი, რომელმაც თავს იდვა მეფე ერეკლეს მოტყუილება და ამით ქართველი ჯარის მოსპობა, მაგრამ ვერც მან მოაწყო ეს ბოროტება. თუმცა ქართლის მეფე იმერეთის მეფეს სასტიკათ გადაჰკიდა, იგი თბილისიდან იმერეთში გაემგზავრა და იქ დაიწყო მოქმედება ბოროტათ, რომ რაკი ერეკლე მეფე ვერ მოვატყუილეთ, ეხლა იქმნება სოლომონი მაინც ჩავიგდოთ ხელშიო.

მცირე ხანს შემდეგ მან ქართველებს ახლა სხვა მტერი გამოუგზავნა მოსატყუებლათ. ეს იყო გენერალი სუხოტინი.

გენერალ სუხოტინიც იმავ პოლიტიკით მოვიდა საქართველოში, როგორც ტოტლებენი და ლვოვი, მაგრამ ვერც ამან

გააწყო რამე, მეფე ერეკლე ვერ აიყოლია, საქართველო ვერ დასცინცლა. მიტომ ეს ბოროტი იმერეთშიწავიდა და ფიქრობდა სოლომონ მეფის მოტყვილებას. იქ მართლაც მან მოახერხა და

საწადელს მისწვდა. გონიერი სოლომონი მოხიბლა, აიყოლია. 30 ათასი იმერეთის ჯარი დასტყუა და პირობა მისცა მეფეს, რომ მე თქვენი და რუსის ჯარით ფოთში ოსმალებს დავამარ-ცხებ და განვდევნიო. მეფეც ენდო მას, ჯარი მისცა. სუხო-ტინი წავიდა ფოთში და იმერეთის ჯარი სულ გასწყვიტა და ვერც ოსმალები განდევნა. მერე რუსის ჯარით უკან დაბრუნდა და ამგვარათ იმერეთის მეფეს გაუწყვიტა 30 ათასი ჯარის კაცი, მერე თვითაც რუსეთში გაიპარა ჩუმათ. ეკატერინეს მაინც ვერც ახლა ეშველა რამე, ვერც ერეკლე მეფე ჩაიგდო ხელში და ვერც სოლომონ იმერთა მეფე.

ამის შემდეგ მოხდა მხოლოთ ის, რომ 1783 წ. მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა. ეს იყო ეკატერინეს დამამშვიდებელი ნაბიჯი. ამან იფიქრა: დღეს ეს იყოს, მერე სხვა იქნებაო. მას მოთმინება აღარ მიე-ცა და რამდენიმე ხნის შემდეგ ერეკლე და სოლომონ მეფის მოსატყუებლათ გამოგზავნა გენერალ ბურნაშევი.

ეს ბოროტი გენერალი ერეკლე მეფის წინაშე დატრიალდა, ერეკლე აიყოლია და 32 ათასი კაცი დასტყუა. ამ ჯარს მეფემ თან გააყოლა 8000 ურემი თავის ხარ-კამეჩით და სურსათით. გენერალმა ეს ქართველნი ბაბახანის ბრძოლაში, განჯაში გა-წყვიტა. მაინც ვერც ამის შემდეგ მოხდა ის, რაც ეკატერინეს სურდა – არც ერეკლემ და არც სოლომონ მეფემ ეკატერინეს შეერთება არ სთხოვეს.

ამის შემდეგ ეკატერინემ თვისი პოლიტიკა შესცვალა და ახლა იგი სულ სხვა გზას დაადგა. ამ ბოროტებაში დიდს და-ხმარებას და გეგმას აძლევდა გენერალი პატიომკინი. ამასაც მოგახსენებთ მოკლეთ: რაკი პირდაპირის მოტყუილებით არ იქმნა და საქართველო ვერ დაიმორჩილეს, ახლა მათ აი რა ხერხს მიმართეს. ლინიაზედ მყოფის ღენერალ ღუდოვიჩის და

პატიომკინის ოსტატობით მოახერხეს და მოაწყეს ის, რომ მეფე ერეკლეს აუტეხეს და შემოუსიეს სპარსეთის დესპოტი აღა მახმად ხანი.

აღა მახმად ხანს მისცეს დიდი დახმარება ზარბაზნებით, თო-ფებით და 1795 წელს ეს მტერი ქურდულათ შემოესია სა-ქართველოს.

ამ დროს საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო შესული. რუსნი ვალდებულნი იყვნენ, რომ ქართველებს ჯა-რით დახმარებოდნენ.

მეფე ერეკლემ ეკატერინეს დახმარებისთვის მიმართა, შვე-ლა სთხოვა ჯარით. ეკატერინესაგანაც პირობა მოუვიდა, მა-

გრამ მოატყუილეს, ღუდოვიჩმა იყალბა და ჯარი დააგვიანა, არ მოაშველა, მტერს ხელი არ შეუშალა თფილისის აკლებასა და დამხობაში.

ამ გვარათ, 1795 წ. რომანოვების ბოროტის პოლიტიკის წყალობით თბილისი იქმნა მოსპობილი და აოხრებული ისე, რომ 120 ათას მცხოვრებთაგან თბილისს შერჩა მხოლოდ 70 ათასი სული. ეს რიცხვი გამოსჩნდა თბილისში 1796 წ. ეკატერინეს იმედი ჰქონდა, რომ რაკი სპარსელებს ავაკლებინებთ საქართველოს, მის შემდეგ იგი ჩვენ ულაპარაკოთ შემოგვიერთდებაო. მაგრამ არ იქმნა, მოლოდინი ვერ შეუსრულდათ.

ამ დროს ღუდოვიჩმა არჩია შემდეგი ეშმაკობა:

საქართველოს მეფეს ეხლა ჯარი აღარ ჰყავს. შახი თუ ეხლა საქართველოს მეორეთ დაეცა, ესლა კი ისეც დაქცეულ საქართველოს ისე აიკლიებს, რომ მას შემდეგ ქართველებს მეტი გზა არ ექნებათ, ჩვენ შემოგვიერთდებიანო. ეს გეგმა ყველას მოეწონა და იგინი მალე შეუდგენ საქმის შესრულებას. მალე აღა მახმაად ხანი ნახეს, მისცეს დიდი დახმარება,

წინეთ, ანუ 1795 წ. თუ მტერი 300 ათასი კაცით მოვიდა, ეხლა იგი მოდიოდა 600 ათასი კაცით.

მართლაც, ყეინი 1795 წ. დიდის სამზადისით წამოვიდა საქართველოს ასაკლებათ. მტერმა თავის ჯარით შუშამდისინ მოაღწია, აქ დაიბანაკა, აქ ადგენდა საქართველოს ასაკლებ გეგმას, თუ როგორ უნდა შემოსეოდა და აეკლო ყველაფერი, მაგრამ ამას მან ვეღარ მიაღწია, რადგანაც შუშაში იგი თავის მსახურთაგან მოკლულ იქმნა ერთ ღამეს. მკვლელი იყო ერთი ქართველი, მცხეთელი ანდრია, თათრობაში სადიხა და მეორე ბიჭი – ლეკი.

ყეინის მოკვლით საქართველოს ასცდა თავის უბედურება. მტრის ჯარი დაიშალა და უკან გაბრუნდა.

ამ მეორეთ შემოსევის ამბავს ვრცლათ არ ვწერ. აქედან ერთი წერილი გაზეთ „ჯარის კაცში“ დაიბეჭდა და მეორე წერილი კი დარჩა დაუბეჭდავი დღემდე იმავე რედაქციაში. ამის შემდეგ ეკატერინეც მალე მოკვდა. მერე რუსეთის ახალმა სვავმა პავლემ საქართველოსადმი პოლიტიკა შესცვალა.

მალე მათ იშოვნეს მოხერხებული კაცები, რომელნიც ქართველებს კარგად იცნობდენ. ამ კაცებმა იშოვნეს ქართველებში ქართველთა შინათ გამცემი მტრები. მათ ესენი შეისყიდეს ფულით. ესენი იყვნენ გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალოვი და ელ. ფალავანდოვი. ამათის შესყიდვით და დახმარებით მოახერხეს და დაიმეგობრეს თვით მეფე გიორგი. მერე ამ შესყიდულ სამმა ქართველებმა შეისყიდეს კიდევ 12 სხვა ქართველნი „ფიცის კაცნი“ და მხოლოდ ამათის დახმარებით და ბოროტებით საქართველო ხელში ჩაიგდეს 1801 წელს მეფე გიორგის უნიჭობით.

ამის შემდეგ რუსის ბიუროკრატები მიესივნენ ქართველებს და ყოველი მხრიდან დაუწყეს მოსპობა და გადაგვარება.